პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №__

2023 წლის __ იანვარი

ქ. წყალტუბო

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის“ საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-4823025165; 25/01/2023) წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის“ საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის“ საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ (დანართი თან ერთვის).

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიას.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:

აპარატის უფროსი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე — არჩილ ღიბრაძე

საქართველო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-4823025165**
თარიღი: **25/01/2023**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს
ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში განსახილველად შემოვიდა წყალტუბოს ა(ა)იპ „ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის" 2023 წლის 25 დეკემბრის №33/3 წერილი და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2023 წლის 25 დეკემბრის №02-4823025163 მიზანშეწონილობა, საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შესახებ. წყალტუბოს ა(ა)იპ „ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის" საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში, წერილის შესაბამისად ცვლილებას ექვემდებარება შემდეგი:

დაემატოს მზარეულის თანაშემწის 1 საშტატო ერთეული და სახელფასო განაკვეთი განისაზღვროს 400 ლარით.

გარდა ამისა:

1. შესყიდვების მენეჯერის 1 საშტატო ერთეულის სახელფასო განაკვეთი ნაცვლად 770 ლარისა განისაზღვროს 900 ლარით.

2. საქმის მწარმოებელის 1 საშტატო ერთეულის სახელფასო განაკვეთი ნაცვლად 605 ლარისა განისაზღვროს 700 ლარით.

3. ბუღალტერის 1 საშტატო ერთეულის სახელფასო განაკვეთი ნაცვლად 880 ლარისა განისაზღვროს 980 ლარით.

4. სოც. მუშაკის 1 საშტატო ერთეულის სახელფასო განაკვეთი ნაცვლად 660 ლარისა განისაზღვროს 760 ლარით.

5. პედაგოგი სპეც. განათლებით 1 საშტატო ერთეულის სახელფასო განაკვეთი ნაცვლად 660 ლარისა განისაზღვროს 760 ლარით.

6. ადრ.განვითარების პედაგოგის 1 საშტატო ერთეულის სახელფასო განაკვეთი ნაცვლად 660 ლარისა განისაზღვროს 760 ლარით.

7. მეტყველების სპეციალისტის 1 საშტატო ერთეულის სახელფასო განაკვეთი

ნაცვლად 660 ლარისა განისაზღვროს 760 ლარით.

8. ფსიქოლოგის 1 საშტატო ერთეულის სახელფასო განაკვეთი ნაცვლად 660 ლარისა განისაზღვროს 760 ლარით.

9. ხელოვნების პედაგოგის 1 საშტატო ერთეულის სახელფასო განაკვეთი ნაცვლად 660 ლარისა განისაზღვროს 760 ლარით.

10. პედაგოგის თანაშემწის 2 საშტატო ერთეულის სახელფასო განაკვეთი ნაცვლად 495 ლარისა განისაზღვროს 600 ლარით.

11. მზარეულის 1 საშტატო ერთეულის სახელფასო განაკვეთი ნაცვლად 440 ლარისა განისაზღვროს 600 ლარით.

12. დამლაგებლის 1 საშტატო ერთეულის სახელფასო განაკვეთი ნაცვლად 385 ლარისა განისაზღვროს 500 ლარით.

13. მძღოლის 1 საშტატო ერთეულის სახელფასო განაკვეთი ნაცვლად 660 ლარისა 800 ლარით.

14. დარაჯის 2 საშტატო ერთეულის სახელფასო განაკვეთი ნაცვლად 275 ლარისა განისაზღვროს 350 ლარით.

აღნიშნული ცვლილება გამოიწვევს შრომის ანაზღაურების ერთი თვის ფონდის ზრდას 2100 ლარით, წლის ბოლომდე (11 თვე) 23 100 ლარით, შესაბამისად აღნიშნული ცვლილება გამოიწვევს წყალტუბოს ა(ა)იპ „ბავშთა ინკლუზიური ცენტრის“ 2023 წლის დამტკიცებული სუბსიდიის გაზრდას.

,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ.ბ.“ ქვეპუნქტის თანახმად, გთხოვთ, თანხმობას ა(ა)იპ „წყალტუბოს ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის“ საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დანართი 5 ფურცლად.

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

ა(ა)იპ ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი"

2023 წლის საშტატო ნუსხა

დანართი 1

#	თანამდებობის დასახელება	საშტატო ერთეული	განაკვეთის ღირებულება
	სულ	18.0	
1	დირექტორი	1	1980
2	შესყიდვების მენეჯერი	1	900
3	საქმის მწარმოებელი	1	700
4	ბუღალტერი	1	980
5	სოც.მუშაკი	1	760
6	პედაგოგი სპეც. განათლებით	1	760
7	ხელოვნების პედაგოგი	1	760
8	ადრ.განვითარების პედაგოგი	1	760
9	ფსიქოლოგი	1	760
10	მეტყველების სპეციალისტი	1	760
11	პედაგოგის თანაშემწე	2	600
12	მზარეული	1	600
13	მზარეულის თანაშემწე	1	400
14	დამლაგებელი	1	500
15	მძღოლი	1	800
16	დარაჯი	2	350